საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 126/ს
17/03/2023

126-21-4-202303170916

ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №8-ში ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების (დანაწევრებული თოკები) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №8-ში, საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს „ქუთაისის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.05.04.122) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, საიდანაც 70 $მ^2$-ს საქმიანობის განმახორციელებელი ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს განთავსების ადგილის GPS კოორდინატებია: X-307719, Y-4679942; X-307724, Y-4679938; X-307717, Y-4679928; X-307713, Y-4679932. ამავე შენობა-ნაგებობაში ფუნქციონირებს ი/მ გიორგი ჩხიკვაძის კუთვნილი პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო. ობიექტიდან 20 მეტრში განთავსებულია ი/მ გიორგი მიქაუტაძის მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავებელი საწარმო, 200 მეტრში - ი/მ ინული ლიკლიკაძის, ხოლო 240 მეტრში - ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები. ობიექტიდან 380 მეტრში ასევე ფუნქციონირებს შპს „უ&ნ ჯგუფის“ პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო. ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 150 მეტრით.

2022 წლის 14 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის კუთვნილი საწარმოს ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №073104.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების (დანაწევრებული თოკები) გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს 2022 წლის 5 ივლისიდან, რისთვისაც ობიექტზე განთავსებულია კუსტარული გრანულატორი და როტაციული დამაქუცმაცებელი. ობიექტზე გათვალისწინებულია წელიწადში 42 ტონა

მეორადი პოლიეთილენის ნარჩენის (კოდი: 20.01.99) გადამუშავება და მისგან 37.80 ტონა მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის წარმოება. საწარმო მუშაობს წელიწადში 240 დღე, დღე-ღამეში 8 საათი და დასაქმებულია 1 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების აღდგენის საწარმოში შემდგომი გადამუშავების მიზნით, ნედლეულის შეძენა ხორციელდება ი/მ გია კარტოზიასგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე ნედლეული შემოიზიდება კონტრაქტორის მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. საწარმოში შეტანილი ნედლეული განთავსებულია ტომრებში (ბიგ-ბეგებში) და დროებით საწყობდება საწარმოს შენობაში. ობიექტზე შეტანილი ნარჩენები არ არის დაბინძურებული და შესაბამისად, საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, მათი წინასწარი დამუშავება (რეცხვა) არ ხორციელდება. საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, პირველ ეტაპზე ხდება ნედლეულის კუსტარულ გრანულატორში ფორმირება და შუალედური პროდუქტის ე.წ „ჩიფსების“ მიღება, ხოლო მეორე ეტაპზე - „ჩიფსების“ როტაციულ დამაქუცმაცებელში დაფქვა და საბოლოო პროდუქციის - მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის წარმოება. მიღებული პროდუქცია მუშა პერსონალის მიერ, ხელის ნიჩბის საშუალებით იყრება ტომრებში და რეალიზაციამდე საწყობდება საწარმოს შენობაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ხოლო, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება საკანალიზაციო ქსელში. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე საწარმოო და ტექნიკური მიზნით წყლის გამოყენება არ ხორციელდება. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო განთავსებულია დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა, ნახშირჟანგი და უჯერი ნახშირწყალბადები. დოკუმენტში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლის თანახმადაც, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დანადგარ-მექანიზმები განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში, ხმაურის დონე შენობის გარეთ არ გადააჭარბებს 40-45 დეციბალს. შესაბამისად, ობიექტის ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (150 მ) გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება სპეციალურ კონტეინერში და მისი გატანა ხდება ქ. ქუთაისის დასუფთავების სამსახურის მიერ. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, ვინაიდან,

ტექნოლოგიური დანადგარების დაზიანების შემთხვევაში, მათი შეკეთება საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებული არ არის, ობიექტზე სახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნარჩენების აღდგენა ხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, კაპიტალურ შენობაში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრის რადიუსში, მდებარეობს მსგავსი პროფილის საწარმოები. კერძოდ, ამავე შენობა-ნაგებობაში ფუნქციონირებს ი/მ გიორგი ჩხიკვაძის კუთვნილი პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო. ობიექტიდან 20 მეტრში განთავსებულია ი/მ გიორგი მიქაუტაძის მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავებელი საწარმო, 200 მეტრში - ი/მ ინული ლიკლიკაძის, ხოლო 240 მეტრში - ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები. ობიექტიდან 380 მეტრში ასევე ფუნქციონირებს შპს „უ&ნ ჯგუფის“ პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო. დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ზემოაღნიშნული ობიექტების ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა ქ. ქუთაისის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობის (42 ტ/წელ), ადგილმდებარეობისა და მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით, მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ.№8- ში ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია (ნარჩენების აღდგენა) **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო